5884/1-6/21 2 14062021

5884/1-6/21
14-06-2021

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ

აუდიტორს ბატონ ირაკლი მექვაბიშვილს

ბატონო ირაკლი,

მოგეხსენებათ, პარტია ყოველი წლის 1 თებერვლამდე სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უგზავნის გასული წლის საფინანსო დეკლარაციას, აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) დასკვნასთან ერთად.

პარტიის იურიდიული მისამართის მიხედვით, ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში იგზავნება დეკლარაციისა და აუდიტორის (აუდიტორული ფირმის) დასკვნის ასლები. დეკლარაციაში აისახება პარტიის წლიური შემოსავალი (საწევრო შენატანებისა და შემოწირულებების ოდენობები, საწევრო შენატანების განმახორციელებელ მოქალაქეთა ვინაობა, მონაცემები შემოწირულებების განმახორციელებელი მოქალაქეებისა და იურიდიული პირების თაობაზე, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი, აგრეთვე პარტიის მიერ საგამომცემლო საქმიანობიდან და სხვადასხვა ღონისძიების მოწყობით მიღებული თანხები) და გასავალი (არჩევნებზე, სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებასა და მივლინებაზე გაწეული და სხვა ხარჯები), აგრეთვე ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში (კუთვნილი შენობა-ნაგებობებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და სახეობა, მათი საერთო ღირებულება, საბანკო დაწესებულებებში რიცხული თანხების ოდენობა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მომაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია:

2008 წლიდან დღემდე, წარმოდგენილი საფინანსო დეკლარაციების საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ მიერ მიღებული თანხების ოდენობის თაობაზე, თითოეულ წელზე ცალ ცალკე.

ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2008 წლიდან დღემდე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ მიერ წარმოდგენილი წლიურ საფინანსო დეკლარაციები.

გარდა ამისა, გთხოვთ მომაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია 2016 წლიდან დღემდე, წარმოდგენილი საფინანსო დეკლარაციების საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიღებული თანხების ოდენობის თაობაზე, თითოეულ წელზე ცალ-ცალკე.

ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2016 წლიდან დღემდე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი წლიურ საფინანსო დეკლარაციები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი

საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 009002/09

29/06/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ლევან იოსელიანს
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი N 8

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. N 1-9071/21
30-06-2021წ. ფურც. 23 (+დან 67)

ბატონო ლევან,

თქვენი მიმდინარე წლის 14 ივნისის N 5884/1-6/21 წერილის (შიდა N 4427/01-14.062021) პასუხად გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს ახორციელებს 2011 წლიდან, შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ 2008-2010 წლების შესაბამისი ინფორმაცია.

2011 წლიდან დღემდე პოლიტიკურ პარტიებს წარმოდგენილი აქვთ წლიური დეკლარაციები 2020 წლის ჩათვლით პერიოდებზე, შესაბამისად, გიგზავნით ინფორმაციას მპგ „საქართველოს ლეიბორისტული პარტიისთვის" 2011-2020 წლებში და მპგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის" 2016-2020 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების შესახებ.

წელი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	საქართველოს ლეიბორისტული პარტია
2011		4 882 201
2012		392 894
2013		150 000
2014		492 733
2015		610 020
2016	4 343 549	861 117
2017	2 433 096	859 879
2018	2 982 828	641 152
2019	1 192 718	641 152
2020	1 845 070	1 020 179

ასევე გიგზავნით ზემოთ ხსენებული პოლიტიკური პარტიების შესაბამისი პერიოდების წლიური საფინანსო დეკლარაციების ასლებს (იხ. დანართი).

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ: (+99532)2438282 ფაქსი: (+99532)2438164
თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ: (+99532)2438438 ფაქსი: (+99532)2438136

ამასთანავე გაცნობებთ, რომ პოლიტიკური გაერთიანებების მიერ წარმოდგენილი წლიური საფინანსო დეკლარაციები სრულად შეგიძლიათ იხილოთ პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის ოფიციალურ ვებგვერდზე monitoring.sao.ge > დეკლარაციები > წლიური დეკლარაციები.

დანართი: CD დისკი.

პატივისცემით,

ეკატერინე ღაზაძე
გენერალური აუდიტორის მოადგილე